რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 11 იანვარი 1918

№296

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგ ადრესით: Тифлисъ. Гаповская ул. № 3. Редакція Груз. газ. „Брдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 7 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. 7

# მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

## ყოველ დღიურ გაზეთებზე

## „ბრძოლა", „კავკაზსკი რაბოჩი" და „ზანგოცი კრივ"-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე" ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს **24** მან., ნახევარი წლით—**12** მან., ერთი თვით—**2** მან.

პირველ იანვრიდან ხსენებულ გაზეთების კანტორა მოაწყობს გაზეთების ტფილისში ხელის მომწერთა ბინაზე მიტანას. მხოლოთ თავის დროზე გაზეთის მიღების მსურველთ გადახდებათ თვეში 50 კაპ. გამოცხადებულ ხელმოსაწერ ფასებზე მეტი

ყველა რაიონების პარტიულ ამხანაგების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! უკიდურესი ფინანსიური სიძნელეების გამო კავკასიის ბოლშევიკების საოლქო კომიტეტმა რ. ს.-დ. მ. პარტიისამ 1917 წ. 31 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა შემდეგი: მიეცეს წინადადება ყველა რაიონულ ორგანიზაციებს, რომ წევრებმა ერთდროულად გადასცონ ერთი დღის შემოსავალი. შეგროვილი ფული ორგანიზაციებმა უნდა წარუდგინონ კომიტეტის ხაზინადარს ამხ. ა. ოპ კომპანის (კავკასიის ბანკი).

საოლქო კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშ.).

## რუსეთის სოც.-დემოკ. მუშა[თა] პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

### ამხანაგებო მუშებო, გლეხებო და მოქალაქენო!

რუსეთის ინტერნაციონალური დემოკრატიის რევოლიუციონურმა აღტყინებამ და გატაცებამ საყოველთაო საერთაშორისო დემოკრატიული ზავისათვის ბრძოლაში და მოისხანე ქარიშხალივით დაბერა იმპერიალისტების ბროლათა თავზე და ქედი მოახრევინა მათ, პროლეტარიატის რკინის ფიდრეკი, მძლეთამძლეთ ნების და გაუმწყვეტი მოთხოვნების წინაშე.

ამეტყველდნენ და სინათლეზე გამოვიდნენ ახლა ძმათა ჟლეტის, საზარელი ომის მომწყობნი—დამნაშავენი, ბელადნი ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტებისა.

ზავისთვის ბრძოლა ინტერნაციონალურ პროლეტარიატის იდეალების გამარჯვებას უახლოვდება.

მშრომელი კაცობრიობა წარმოუდგენელი ენერგიით მისწრაფვის, რომ დღევანდელი არ გაგონილი კაცთა-ჟლეტა უსაზარლესი ომი ხალხთა შორის, ხალხთაძმობათ გადააქციოს.

სანგრებსა და თხრილებში ჯოჯოხეთური ცხოვრებით მოქანცულმა, ნატანჯნაწამებმა ჯარმა, უქმელობით და სისტემატიური დამშევით ქანც გამოცლილმა ზოგან თვითონ გამართა პირდაპირი მოლაპარაკება მოძმე ხალხის ჯართან დროებითი მორიგებაზე, ხოლო ზოგ ადგილებში სულ დატოვა ბრძოლის ველი და თავის ქვეყნისკენ იბრუნა პირი: ჯარის მთელი ნაწილები, მასსები შინისაკენ გაეშურნენ.

შინ ეკონომიური ცხოვრების მოშლა, სასურსათო კრიზისი და ტრანსპორტის, გადასვლ-გადმოსვლის საშუალებათა ძალზე შესუსტება სრულიად შეუძლებლათ ხდის, რომ ჯარს დროზე და საკმაოთ საჭირო სამხედრო მასალა და სანოვაგეები მიაწოდონ, ამიტომ ამ ჯარის დემობილიზაციის მოხდენა მით უფრო აუცილებელი ხდება.

ამიერ კავკასიისა და კავკასიის არმიისათვის მასალის მიწოდების სიძნელე კიდევ უფრო მეტათ გართულდა მას შემდეგ, რაც ჩრდილო კავკასიაში კონტრ-რევოლიუციონური მთავრობის ბატონობა დამყარდა, კონტრ-რევოლიუციონური ოფიცერ-ბელადების-კორნილოვის, კალედინის, ფილიმონოვის, პოლოვცევის და კომპანიის—მეთაურობით.

ამიერ-კავკასიის დემოკრატიას ამ საქმის შესრულება მხოლოთ ორი გზით, ორგვარი საშუალებით შეუძლია: ან ქედი უნდა მოიხაროს მან კალედინების წინაშე და მოწყალებას თხოვოს მათ, ანდა ხელში ხმალი აიღოს და მით ჩრდილო კავკასიის კონტრ-რევოლიუციას თავი მოკვეთოს.

სხვა გზა არ არის...

პირველი—ესაა გზა შერცხვენისა, ქედმოხრილობისა, რევოლიუციის ღალატისა. ხოლო მეორე კი გზაა ბრძოლისა, რევოლიუციონური გმირობისა. რევოლიუციისათვის თავდადებისა და ერთგულებისა.

ამიერ კავკასიის „მმართველნი" მენშევიკ-ობორონცების მეთაურობით მიდიან პირველი გზით.

მათ პრჟევალსკების, დონსკოების, გობეჩიებს და კომპანიის კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკის დაშვებით დაუფასებელი სამსახური გაუწიეს ჩრდილო-კავკასიის კონტრ-რევოლიუციას.

ეს პოლიტიკა კავკასიის არმიის დეზორგანიზაციაში მდგომარეობდა, იმ არმიის, რომელიც კალედინის ბატონობას ზურგიდან ემუქრებოდა. ზემოთ დასახულ მიზნისთვის მათ ყოველი ღონე იხმარეს: მასიური, „ოტპუსკები", რამდენიმე წლის ჯარში გაწვეულების ჯარიდან დათხოვა, ჯარის ზოგი ნაწილების სულ დაშლა, ზოგს კიდევ იარაღის აყრა და სხვადასხვა.

ყველა ამეებმა, რასაკვირველია, გამოიწვია ფრონტის დაცლა, მებრძოლი ძალების ნაკლებობა, რომ ადგი ობრივათ გაგმაღლაეებოდით კონტრ-რევოლიუციას ძარცვა-გლეჯას და რბევა-აწიოკებას.

ჩრდილო-კავკასიის კონტრ-რევოლიუციამ, როცა დაინახა, რომ იგი ზურგ გამაგრებულია ამიერ კავკასიის კომისარიატის პოლიტიკით, როსტოვზე გალაშქრება გადასწყვიტა.

ამიერ კავკასიის კომისარიატის პოლიტიკითვე აიხსნება ის თავხედობა და ალვირ ახსნილობა, რომლითაც პოლოვცევები და ფილიმონოვები უმასპინძლდებოდენ ჩრდილო-კავკასიის რევოლიუციონურ ორგანიზაციებს—მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს.

აი ამიერ კავკასიის კომისარიატის და საარმიო ძველი საბჭოს ასეთი თავმინებებული პოლიტიკა და მოღალატური მოქმედება შტაბისა, რომელსაც პრჟევალსკი უდგას სათავეში ღუპავენ საქმეს რევოლიუციისას კავკასიაში.

აქ კი ამიერ კავკასიაში რაღაც ნაირი ნაძალადევი „ეროვნული" საბჭოები, რომლებიც შოვინისტურმა ბურჟუაზიამ და ობორონცულმა პარტიებმა შექმნეს, თავისი ინიციატივით, ახლა ნაციონალურ პოლკებს ადგენენ და ამიერ კავკასიის კომისარიატის ხელით ძალდატანებითი მობილიზაციის მოხდენას ეპირებიან.

ამიერ კავკასიის მუშებისა და გლეხების შეუგნებლობითა და სიბნელით დაიმედებული ნაციონალური ბურჟუაზია (სომეხთა, თათართა და ქართველთა) და მემამულეები აშინებენ რა ზოგს თათრების შემოსევით, სხვებს ძარცვა-გლეჯით და ზოგსაც ბოლშევიკების „გამოსვლით", ფიქრობენ, რომ მუშებზე და გლეხებზე თავისი ბატონობის გასამაგრებლათ და შესანარჩუნებლათ შექმნან შეიარაღებული ძალები, რომელთა საშუალებით ისინი ეცდებიან გაუმკლავდენ ქართველ, სომეხ და თათარ მუშების, გლეხების და ყველა ღარიბთა ინტერესებისთვის თავდადებულ მებრძოლთ.

ამ ჟამათ, როცა ფიზიკურათ არც ერთ ქვეყანას აღარ ძალუძს სამხედრო მოქმედება განაგრძოს, როცა ყველა მეომარი ქვეყნების ჯარები დემობილიზაციის მდგომარეობაში გადადის, უეცრათ ამიერ კავკასიის კომისარიატი სამხედრო გუნებაზე დგება და მობილიზაციის დეკრეტების გამოცემას ფიქრობს.

ამიერ კავკასიის კომისარიატი თავისი უმოქმედობით ხელს უწყობდა და ახლაც ხელს უწყობს კალედინს, რომ მან ჩრდილო-კავკასიაში რევოლიუციის ლიკვიდაცია მოახდინოს; ხოლო აქ იმავე კომისარიატს უნდა მობილიზაციით გაამაგროს ადგილობრივი ნაციონალური საბჭოები და ნაციონალისტური პარტიები, რომლებიც ისე გააფთრებით ებრძვიან რევოლიუციონურ სოციალდემოკრატიას, საბჭოთა ძალა-უფლებას, მუშათა და გლეხთა მთავრობას.

ამხანაგებო მუშებო, გლეხებო და მოქალაქენო! ამიერ კავკასიის კომისარიატის ეს ახალი კონტრ-რევოლიუციონური ცდაა რევოლიუციისა და მის მონაპოვართა წინააღმდეგ მიმართული!

ყველა საბუთი და ყოველნაირი ახსნა-განმარტება მათი ასეთი ბრძნული პოლიტიკური ნაბიჯის უმსგავს დებულებებიდან და ცბიერულ განცხადებიდან გამომდინარეობს. ვიდრე ჩვენს აზრს გამოვსთქვამდეთ კომისარიატის ზემოხსენებულ მოწოდებაზე, ჩვენ მას მოვ-

თხოვეთ აშკარათ და პირდაპირ გვიპასუხოს: ვისთან და რომელი მტრის წინააღმდეგ დასჭირდა მას ეს „მობილიზაცია"? მოეპოვება მას ამ თავმოყრილ ჯარისთვის საჭირო მასალა და სამხედრო საშუალებანი? რატომ მიმართა კომისარიატმა ძალდატანებით მობილიზაციას და არა ნებაყოფლობითს, როგორც ცოტათ თუ ბევრათ უფრო დემოკრატიულ ფორმას? რატომ უთუოთ მობილიზაცია უნდა უნდა მოხდეს და არა ხალხის საყოველთაო შეიარაღება, როგორც საუკეთესო ფორმა და საშუალება მასსების თავდაცვისათვის? თქვენ უნდა მოსთხოვოთ მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს და მათ ცენტრებს, რომ მათ ღონე იხმარონ და გონს მოიყვანონ, გამოაფხიზლონ გონება აფორიაქებული ჩვენი მინისტრები, რომლებსაც მხარს უჭერენ და ათამაშებენ ჩვენი მენშევიკები და დაბოლოვოთ განაციონალისტებული მათი ბელადები: ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი და კომპანია, რომლებიც ორათ გათიშულ მუშათა საბჭოს ობორონცული ნაწილის სხდომაზე იცავდენ არა სახალხო შეიარაღებას, არამედ ბრიყვულ კონტრ-რევოლიუციონურ დეკრეტს მობილიზაციაზე ამიერ-კავკასიის კომისარიატისას.

ამხანაგებო, ჯარში გაწვეულებო! ამიერ-კავკასიის კომისარიატი ფიქრობს იმ საბედისწერო დროს გაგიწვიოთ თქვენ ჯარში, როცა არა თუ მთელი ჯარი ასაზრდოვოს, ტანზე და ფეხზე ჩააცვას მას, არამედ ამიერ-კავკასიის შინ მცხოვრებთათვისაც საჭირო სურსათი არ მოეპოვება.

დეკრეტის პროექტით თქვენ თვითონ უნდა იზრუნოთ სამი დღის საგზლისთვის და თავი ისე გამოიკვებოთ და იმავე დროს არავითარი გარანტია არ გეძლევათ იმისი რომ შემდეგში მაინც მიიღებთ რეგულიარულ საზრდოს და საჭირო სურსათს ჩვენი „მმართველებისაგან."

თქვენგან უნდათ შექმნან ბრმა მორჩილი იარაღი, რომელიც ერთგულათ დაიცავს ქონების პატრონების ინტერესებს და ბატონობას, უნდათ გადაგაქციონ ზარბაზნის ლეშათ, ისე როგორც ძველი ჯარი იყო ჩვენი მოსისხლე მტრის, ნიკოლოზ მეფის ხელში ერთ დროს; და ახალი კი განახლებული და ცხოველმყოფელი დიადი სოციალისტური პროლეტარულ-გლეხური რევოლიუციის შემოქმედებითი მისწრაფებებით.

ამიერ კავკასიის კომისარიატს, რომელიც ახლა ბრძოლის წყურვილით არის შეპყრობილი მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ, ხოლო ჩრდილო-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონერებთან კი კეთილ განწყობილების დაჭერას ფიქრობს, უნდა, რომ თქვენი შეიარაღებლი ხელით დაიცვას და ძალაში დატოვოს თავისი შემარიგებელ - შემთანხმებელი კრიტიკა.

ახლა თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, მუშებო, გლეხებო და მოქალაქენო, თუ სანამდი მიახწია ამიერ-კავკასიის „ბრძენ მმართველთა" თავხედობამ და ალვირ ახსნილობამ.

თქვენი ვალია მოუწოდოთ მათ წესიერებისაკენ.

თქვენვე, ამხანაგებო მუშებო ერთხელ და უკანასკნელათ ზურგი უნდა შეაქციოთ მათ, ვინც სოციალიზმისთვის ბრძოლაში ინტერნაციონალისტურ გზას გადაუხვია და ნაციონალურ-შოვინისტური პოლიტიკის გზას დაადგა.

თქვენ, ამიერ-კავკასიის მუშებო და გლეხებო რუსეთის გმირ პროლეტარიატთან და მებრძოლ გლეხ კაცობასთან ერთათ ხელი-ხელ ჩაკიდებული და მასთან ერთსულ—ერთგულათ უნდა სწიოთ ჭაპანი, რომელთა ბრძოლამ ევროპაში აღანთო ცეცხლი სოციალისტურ რევოლიუციისა და რომლებიც კაპიტალისტური წყობილების სრა-სასახლეების საფუძველთა ნანგრევებზე შეუდგენ ახალი სოციალისტური ქვეყნის, შრომის საერთაშორისო ძმობის სამყაროს შექმნას.

ძირს ამიერ-კავკასიის კოალიციონური კომისარიატი!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საყოველთაო დემოკრატიულ ზავს!

გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

**კავკასიის საოლქო კომიტეტი რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიისა.**

**თბილისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკ.)**

## გეგეჭკორის მთავრობა.

დროსა და სივრცეში იშვა გეგეჭკორის მთავრობა და ამის შესაფერი იყო მისი მოღვაწეობაც. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ წვრილ ბურჟუაზიულ კავკასიაში კონტრ-რევოლიუციამ აირჩია იგი თავის ორგანოთ და მანაც შეძლებისამებრ შეასრულა დავალებული.

ეს მთავრობა თავისი ჭკუით მიხვდა, რომ რუსეთის პროლეტარიატთან მას საერთო არაფერი აქვს, რადგან ის მეტათ საბედისწერო ბრძოლაში ჩაება. სამაგიეროთ ის დაუკავშირდა კალედინს და მასთან ერთათ აწარმოვა ხან ჩუმი და ხან აშკარა კონტრ-რევოლიუცია.

უხვი მოსავალი მოგვცა მისმა მოღვაწეობამ და ის სავსებით უნდა მოიმკოს ყველა კავკასიის მცხოვრებმა. ანარქიასთან საბრძოლველათ იყო ის მოწოდებული და მან კავკასიაში გაამეფა წარმოუდგენელი ანარქია. მოსალოდნელი იყო, კალედინსაც კი შეშურდებოდა ეს ღვაწლი, მაგრამ ის თურმე შეძრწუნებულა კიდეც. რა იცოდა მან, რომ კავკასიელებმა ყველაფერი ჭარბათ ვიცით.

დღეს ყოველივე ბლომათ მოიპოვება გეგეჭკორის სამფლობელოში გარდა წესიერებისა, გარდა პურისა, გარდა ზავისა, გარდა ხალხთა შორის ძმობისა, გარდა მშვიდობიანი ცხოვრებისა. ვისაც არ მოსწონს ყოველივე ეს, წავიდეს კავკასიიდან; გზა არ არის ხსნილი, მარა გეგეჭკორი ხომ არ აკავებს, გზა აკავებს.

ხანმოკლე იყო მისი მოღვაწეობა, მაგრამ ამავე დროს ნაყოფიერი და აბრეშუმის ჭიასავით თავდადებული. ამ ჭიასავით მოექცა ის თავის ნამოღვაწევის ხლართში და შიგ მოაქცია ისიც მომავლინებელი, ოდესღაც გავლენიანი რევოლიუციონური საბჭოები. გეგეჭკორი განუტევებს სულს, ხოლო მისი საფლავიდან ამოფრინდება ახალი ძალა, დაიბადება რამდენიმე ნაციონალური მთავრობა; ჩვენ ქართველებს კერძოთ მოგვევლინება გეგეჭკორის ინტერნაციონალური მთავრობის ნაცვლათ ნაციონალური მთავრობა პრემიერ ჟორდანიას მეთაურობით.

ასეთია ისტორიული განვითარების აუცილებლობა. პრემიერი გეგეჭკორი ბუნებრივათ განისვენებს კონტრრევოლიუციის წიაღში, მაგრამ განსვენებულიც მშობიარეთ არის და მალე შობს თავისზე ძლიერ კონტრრევოლიუციას. ამის ნიშნები უკვე არის. ინტერნაციონალის დროშას სცვლის ნაციონალური დროშები, გეგეჭკორის პორტფელს ინაწილებენ ქართველ-სომეხ-თათრის ერიკლეები და ერთი მათგანი უეჭველათ ხვდება ჟორდანიას.

## მგლოვიარენი.

უკანასკნელ ხანს მთელი კონტრ რევოლიუციონური რუსეთი დამფუძნებელი კრების გარშემო ირაზმებოდა. ის ამ დაწესებულების შემწეობით ფიქრობდა გაებათილებია ყოველივე ის, რაც ხალხმა შეუპოვარი რევოლიუციონური ბრძოლით მოიპოვა. ზავის კამპანიის ჩაფუშვა, მიწის შესახებ დეკრეტის გაუქმება, მუშების და გლეხების მთავრობის დამხობა და მის ადგილას კვლავ ბურჟუაზიულ-კოალიციურ მთავრობის დამყარება—აი რა სასახელო საქმეებისკენ მიისწრაფოდა კონტრ რევოლიუცია, რომელიც დამფუძნებელ კრებაზე აპირებდა დაყრდნობას.

დრო გამოიცვალა. ხალხმა განვლო მძიმე ეკლიანი გზა გულუბრყვილო ილიუზიებიდან რევოლიუციონურ შეგნებამდე. ამ ცამეტი წლის წინათ 1905 წელს, ღირს შესანიშნავ ისტორიულ იანვრის 9-ს, ხალხი ხატებით და ჯვრებით მიდიოდა სისხლის მსმელ ნიკოლოზ მეორესთან და მას თავის მოთხოვნილებებს უყენებდა. მას სწამდა, რომ მეფე მამა იყო თავის ხალხისა. ძვირათ დაუჯდა მას ეს რწმენა. ათასობით გულგანგმირულნი შესწირა მან მსხვერპლათ ამ ცრუმორწმუნოებიდან განთავისუფლების საქმეს. გაჭონების ჩამოშორება მხოლოთ სისხლის ფასით შესძლო მან.

დღეს სხვა სურათია. შეიარაღებული ხალხი დარაჯათ უდგას თავის უფლებებს. მასზე ყოველივე გავლენა დაკარგა რევოლიუციონურმა ფრაზეოლოგიამ. ის თვით აკეთებს რევოლიუციონურ საქმეს და შეუბრალებლათ სდევნის, რაც მას წინ ელობება.

დამფუძნებელი კრების სახით მას მოევლინენ ძველი ნაცნობები: კერენსკი, ავქსენტიევი, ჩერნოვი. ხალხმა დაამხო მათი ბატონობა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი თვით იყვნენ შეიარაღებული და ბურჟუაზიასთან ერთათ უსირცხვილოთ ფართაშობდენ ხალხის ზურგზე. დღეს კვლავ მოევლინენ იგივე „კეთილის-მყოფელნი", რომელთაც ამ რამდენიმე თვის წინათ სისხლის ტბა დააყენეს თავის ბატონობის შესანარჩუნებლათ. რაკი არ გაუვიდათ ძალა, ისინი მიმართავენ მლიქვნელობას. ეს უკანასკნელი ხერხია ძველი დროის მოსაბრუნებლათ. ამაო ცდაა, უნაყოფო იმედი.

ხალხმა აღარ შეიწყნარა გუშინდელი თავისი კერპები და რევოლიუციის საქმეს მათ წინააღმდეგ განაგრძობს. დამფუძნებელი კრება გარეკეს—გაისმა მის მმოსავთა ბანაკში და შეიქნა გლოვა და ზარი, ტირილი და კბილთა ღრჭენა. უმართებთ გლოვა. ისინი თვით ებრძოდენ დამფუძნებელ კრებას, სანამ ის რევოლიუციონურ ლოზუნგებს წარმოადგენდა. ხალხმა დასძლია თავისი მტრები, მედგრათ გასწია რევოლიუციონური გზით და უკან მოიტოვა დამფუძნებელი კრება. ახლა მტრები ებღაუჭებიან ამ კრებას და მით ცდილობენ ისტორიის უკან დაბრუნებას. ეს ერთათ ერთი იმედი და იყო რევოლიუციონური ხალხის გზა კვალის არევისა. მწარეთ მოსტყუვდენ, გაუცრუვდათ იმედები.

ახლა მათ ძაძა აცვიათ და გლოვობენ. ჩვენ ვერ გამოუცხადებთ მათ თანაგრძნობას, რადგან მათი მკვდარი მთელათ არის წუთისოფელს გამოსალმებული. კონტრ-რევოლიუციას მთელი რუსეთის მასშტაბში უნდოდა თავის ძალების დარაზმვა და ეს ცდა მარცხით დამთავრდა. დამფუძნებელი კრება მან ამ მიზნით ვერ გამოიყენა. მაგრამ მან თავი შეაფარა სხვა და სხვა ჩამორჩენილ კუთხეებს, სადაც რევოლიუციონური სიმაგრეები სუსტათ შეიარაღებული აღმოჩნდენ. ხალხი განდევნის მას უკანასკნელი ბუდიდან, იდღესასწაულებს თავის ბრწყინვალე გამარჯვებას და შეიძლება მგლოვიარეებსაც გამოუცხადოს თანაგრძნობა, მაგრამ მაშინ მგლოვიარეებიც აღარ იქნებიან.

ტირიან მგლოვიარენი. მათი ნუგეშისმცემელი არავინ არის. ხალხი განაგრძობს მძიმე, რევოლიუციონურ ბრძოლას. მებრძოლთა ყიჟინა ჩაახშობს სასიკვდილოთ განწირულ მგლოვიარეთა კვნესას

## სამოქალაქო ომი

რა არის სამოქალაქო ომი? რას ნიშნავს იგი, ან და რა აქეთი საშინელება არის მასში დამარხული, რომ რევოლიუციონერი მენშევიკები ასე დაუფრთხია?! ვუპასუხებთ.

ერთი უმთავრესი მუხლი მარქსისტული მოძღვრებისა გვეუბნება: ისტორიის მამოძრავებელი ჩარხი არის კლასთა ბრძოლა; ბრძოლა დაჩაგრულ კლასთა დამჩაგვრელთა წინააღმდეგ და პირიქით. კლასები ებრძვიან ერთი მეორეს. ამ ბრძოლაში ირღვევა ძველი, შენდება ახალი; იცვლება საზოგადოებრივი წყობილება, ამისდა მიხედვით იცვლება საზოგადოებრივი შემეცნებაც. ეს კლასობრივი ბრძოლა ორ გვარათ ხდება: ან უიარაღოთ, ასე ვსთქვათ მორალური ძალებით; გაფიცვებით, პარლამენტით, გაზეთების და სიტყვის საშუალებით.—ეს არის ჩვეულებრივი დროის კლასობრივი ბრძოლა, იმ დროის, როდესაც საზოგადოების ცხოვრება რევოლიუციით მიდის წინ;—ანდა იარაღით ხელში, ასე ვთქვათ, ფიზიკური ძალებით: ერთი კლასი იარაღით ხელში მიდის მეორე კლასის წინააღმდეგ; იმართება კლასობრივი ბრძოლა იარაღებზე ფიზიკური ძალაზე დამყრდნობილი. ეს არის კლასობრივი ბრძოლა, იმ დროის. როდესაც მოქალაქენი დარაზმულნი კლასებად ებრძვიან ერთი მეორეს, ეს ის დრო, როდესაც მთელი ხალხი ღრმა თხრილით იყოფა ორ დიდ ბანაკად; ერთი ბანაკი იცავს ძველს, მეორე ებრძვის ამ ძველს და უნდა ახალი შექმნას; ერთის ბატონობას საფრთხე მოელის, მხოლოდ მეორე გაბატონებას აპირებს; ამათი შერიგება ყოვლად შეუძლებელია, სუსტი ხიდი უკვე ჩატეხილია, მისი გამთელება უნაყოფო ცდაა. რადგან ადამიანზე უფრო ძლიერ ეკონომიურ ფაქტორებს იძულებული გაუხდიათ ისინი იარაღით ხელში შებრძოლებოდენ ერთმ ნეთს; ან ერთმა უნდა გაიმარჯოს ან მეორემ; აი ეს არის თვით სამოქალაქო ომი, ეს არის რევოლიუცია; აქედან აშკარაა რა უმადრუკია ისეთი „რევოლიუციონერი", რომელიც რევოლიუციას თავზე დადგომია და იმის მაგივრათ, რომ რევოლიუციონურ ბანაკს მიეხმაროს, რეაქციონური ბანაკის დასამარცხებლათ, დაუღალავათ გაიძახის: „შერიგდით, შეერთდითო". ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ სამოქალაქო ომი ყოფილა თვით კლასობრივი ბრძოლა იარაღით; იგი ყოფილა თვით რევოლიუცია; და როდესაც მენშევიკები

ბურჟუაზიის ბატონობის დროს გაიძახიან: „ძირს სამოქალაქო ომი, გაუმარჯოს სამოქალაქო ზავსო“. ჩვენ შეგვიძლია ეს ასე ავხსნათ: „ძირს რევოლიუცია, გაუმარჯოს რეაქციას“-ო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ორივე ეს დარგი კლასობრივი ბრძოლისა ერთმანეთთან მიზეზობრივათ არიან დაკავშირებულნი; პირველი არის მიზეზი მეორის და მეორე შედეგი, დაგვირგვინება პირველის. ისტორიამ იცის, როგორც ევოლიუცია, ისე რევოლიუციაც.

მარქსისტები (ნამდვილი სოც.-დემოკრატები) ასე უყურებდენ კლასობრივ ბრძოლას; მათთვის კლასობრივი ბრძოლა რევოლიუციონურ ხანაში ღებულობს სამოქალაქო ომის ხასიათს და ამ სამოქალაქო ომში ისინი შესაფერ კლასს და მის ახლობელ ჯგუფებს ეყრდნობიან. ასეთ კლასათ მათ მიაჩნდათ და მიაჩნიათ პროლეტარიატი და მის ახლობელ ჯგუფებათ ღარიბი გლეხობა, წვრილი მოხელეებით.

მაგრამ სულ სხვა გვარია ბურჟუაზიულ პარტიების და ცრუ სოციალისტების შეხედულება. ისინი უარყოფენ კლასობრივ ბრძოლას, სიტყვით თუ არა ფაქტიურათ მაინც, და ამით უარყოფენ რევოლიუციას; კლასობრივ ბრძოლას ისინი უპირდაპირებენ კლასობრივ შერიგებას; რევოლიუციას, სამოქალაქო ომს ისინი უპირდაპირებენ რეფორმებს, სამოქალაქო ზავს.

როდესაც დაიწყო ეს საშინელი იმპერიალისტური ომი, ამ „ზეკლასიურმა“ ბურჟუაზიულმა და ცრუ-სოციალისტურმა მოძღვრებამ გაიმარჯვა თვით სოც.-დემ. პარტიის მაღალ წრეებში. მოხდა რაღაც წარმოუდგენელი: ადამიანები, რომლებიც თავისი თავს უწოდებენ მარქსისტებს, სოციალ-დემოკრატებს,—უარყოფენ კლასობრივ ბრძოლას და მას უპირდაპირებენ სამოქალაქო ზავს; ასე დაემართა შეიდემანს, გედს, გენდერსონს, პლეხანოვს, ჟორდანიას. ძველი ნაცადი მარქსისტული დებულება: „ძირს კლასთა შეთანხმება, გაუმარჯოს კლასთა ბრძოლას, ძირს სამოქალაქო ზავი, გაუმარჯოს რევოლიუციას. მათ შეცვალეს ახალ ბურჟუაზიულ-შოვინისტურ დებულებით: „ძირს კლასთა ბრძოლა, გაუმარჯოს კლასობრივ შეთანხმებას, ძირს სამოქალაქო ომი, გაუმარჯოს სამოქალაქო ზავს ეს იყო ოპორტიუნიზმის სრული გამარჯვება. ამ „პატენტიანი ოპორტიუნისტების წინაამდეგ სასტიკად გაილაშქრა ციმერვალდის კონფერენციამ და შემდეგ კინტალისამ თავის მანიფესტში მუშებისადმი ეს კონფერენციები სასტიკად გმობდენ სამოქალაქო ზავის მიმხრე ცრუ-სოციალისტებს და ყველა ქვეყნის პროლეტარებს მოუწოდებდენ: „ძირს სამოქალაქო ზავი, გაუმარჯოს რევოლიუციასო“. ქართველ მენშევიკებს, სხვათა შორის, ერთ დროს ციმერვალდელებათ მოქონდათ თავი, და, თუმცა შიშით დაკრძალვით, მაინც ურჩობას უწევდენ პლეხანოვის ჟორდანიას. ეხლა კი მათ დაავიწყდათ ციმერვალდი და კინტალი, რომ „ერთობამ“ ღირსადაც არ სცნო ამ ოთხი თვის წინათ სტოკჰოლმში მომხდარ ციმერვალდელების მესამე კონფერენციის მანიფესტი დაებეჭდა. ამ რიგად ჩვენ დავინახეთ თუ რა ყოფილა სამოქალაქო ომი, ომი ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შორის, ომი გლეხობის და მემამულეთა შორის. მე არ ვიცი რამდენათ უნდა დაეცეს რევოლიუციონერობის მხრივ სოციალისტი, რომ გაბედოს თქმა: არა, მუშა არ უნდა ებრძოდეს ბურჟუას, გლეხი მემამულესო?! ამის შემდეგ მოდი და ნუ გაგეცინება, როდესაც ჩვენი ყოფილი ამხანაგები, მენშევიკები გულმოსულნი შემოგვჩივიან, რატომ გვიძახით ცრუ-სოციალისტებსო?

ნურას უკაცრავათ ბატონო მენშევიკებო, თუ თქვენ იმ ადამიანებს, რომლებსაც არ სწამთ კლასობრივი ბრძოლა, და რომლებიც სამოქალაქო ზავს ეტრფიან, ჩვენ სოციალისტები არ ვუწოდოთ

ვინ-ზან.

---

# მუშათა წერილები.

## ძალა-უფლება.

ძალა-უფლებისათვის იბრძვის ყველა პარტიები: კადეტები, მენშევიკები, ესერები, ესფერები, დაშნაკები, ნ.-დემოკრატები, კალედინ-კორნილოვი და სხვები

რასაკვირველია, ძალა-უფლებისთვის იბრძვის ბოლშევიკებიც.

ეს ყველასათვის ცხადზე უცხადესია, მაგრამ მაინც, არ ვიცი რათა, უკიჟინებენ ბოლშევიკებს, თქვენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება გინდათ და იმისთვის იბრძვითო.

მაგალითათ ამხ. ლენინზე და ტროცკიზე ამბობენ, ისინი ავანტიურისტებია, ძალა-უფლება ხელში ჩაიგდესო.

ერთი ვკითხოთ, რისთვის იბრძვიან: კალედინი, წერეთელი, კორნილოვი, ჟორდანია და კერენსკი იმავე ძალა-უფლებისათვის არ იბრძვიან? რასაკვირველია ჰო! რაღათ ეძახიან სხვებს ავანტიურისტებს? იმიტომ, რომ მათ ვერ მოახერხეს ამ ძალა-უფლების ხელში შენარჩუნება.

ეს ყველაფერი ესეა, ამხ. მუშებო, მაგრამ ჩვენი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ და ვერ ვამჩნევთ, ვის ხელში სჯობს ეს ძალა-უფლება რომ იყოს. ამას ჩვენ მუშური თვალით და გონებით უნდა დავაკვირდეთ, კარგათ ავწონ-დავწონოთ, ამხანაგური ხელი გაუწოდოთ ერთმანეთს, რადგანაც ჩვენ, მუშები, ყველანი ერთ ტაფაში ვიწვით, განურჩევლათ იმისა, რომელ პარტიას ვეკუთვნით.

მაშასადამე გადავდოთ ცოტა ხნით მაინც პარტიული ჟინიანობა და ისე გავარკვიოთ,—რა სჯობს ჩვენთვის, ვის ხელში იყოს ძალა-უფლება. გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ თუ მუშებმა, ღარიბმა გლეხებმა და მათმა შვილებმა და ძმებმა—ჯარის კაცებმა მხარი არ დაუჭირეს, არავის არ შეუძლია ძალა-უფლება შეინარჩუნოს).

ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე პარტიაზე ვილაპარაკოთ: მენშევიკებზე, ესერებზე დაშნაკელებზე, ს.-ფედერალისტებზე.

კადეტებზე და სხვა პარტიებზე ლაპარაკი აქ ზედმეტათ მიმაჩნია, რადგანაც მაგ პარტიებს მშრომელი ხალხი ძალიან კარგათ იცნობს და არც ერთი მუშათაგანი მათ არ მიყვება.

ავიღოთ დაშნაკელები. როგორც მე მახსოვს, 1896 წლიდან, ე. ი. 23 წელიწადი ჩვენ მაგათ ვებრძვით, როგორც შოვინისტურ-ნაციონალისტურ პარტიას. ჩვენ, მუშები, სულ მუდამ იმას ვუმტკიცებდით და უქადაგებდით სომხის მშრომელ ხალხს, რომ დაშნაკი იცავს სომხის ბურჟუაზიის ინტერესებს და ეს მართალი იყო მაშინ, ნიკოლოზის მთავრობის დროს და მით უფრო მართალია დღეს. აგრეთვე ქართველ ს.-ფედერალისტებს დაარსების დღიდგანვე ვებრძვით, როგორც ქართველ შოვინისტებს. ყველაზე მეტი ამ ნაციონალისტებთან ბრძოლაში ტყვია წამალი მენშევიკებმა დახარჯეს.

დიდი ხანი არ არის, რაც ქალაქის თვითმართველობის დარბაზში კრებაზე დაშნაკცაკანებმა მენშევიკებს დაუძახეს—თქვენ ქართველი შოვინისტები ხართო, რამაც ჟორდანიას დიდი გულის წყრომა გამოიწვია, წამოხტა ზეზე და სულ მუშტებით უმტკიცებდა, რომ მენშევიკები შოვისისტები არ არიანო.

ვერ წარმომედგინა, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში მენშევიკების ლიდერები ქართველ ნაციონალისტებათ გადიქცეოდენ. არ გასულა დიდი ხანი, რაც ეს საქმით დამტკიცდა. მენშევიკი ინტელიგენცია ჟორდანიასა და ჩხენკელის მეთაურობით გვერდში ამოუდგა ამ ოცი წლის მათ ნაძაგებ ს.-ფედერალისტებს და ნაც. დემოკრატებს და ამათივე მეთაურობით შეუერთდა დაშნაკცაკანებსაც ბოლშევიკებთან საბრძოლველათ.

ესერებზე არ ვლაპარაკობ, რადგანაც ჩვენში ესერების პარტია მარტში დაიბადა და მაშინვე შეეზარდა მენშევიკებს. აი ამათ შეადგინეს კავკასიის დროებით მთავრობა კავკასიის დემოკრატიის ინტერესების „დასაცველათ“.

ნუ თუ, ამხანაგებო, დაშნაკელი, ნაციონალისტ ბურჟუები, სოც.-ფედ., ნაციონალისტები ესერ-კადეტები მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველები გამოვიდნენ ახლა, როცა ეს მენშევიკ ინტელიგენტებს დასჭირდათ, თავიანთი ბატონობის გასამტკიცებლათ?! მენშევიკ ინტელიგენტების მოესურვათ „კავ. რაბოჩის“, „ბრძოლის“, და „ბანვორი კრივის“ დახურვა და დარბევა,—დაშნაკელი ზინვორები გაგზავნეს მათ დასარბევათ. რას ნიშნავს ეს, თუ არ ღალატს მუშებისას?! მე ჩემი თვალით ვნახე 30 ნოემბერს, როგორ ჩააყენეს რიგში მუშების რედაქციაში დაჭერილი ხალხი და გაუყენეს გზას ეტაპით სასახლისკენ. თქვენ კარგათ იცით, ამხანაგებო, როგორ იცავდნენ და იცავენ საზოგადოთ მუშათა ინტერესებს ნაციონალისტური პარტიები.

ახლა ავიღოთ მენშევიკ-ესერების პარტია, ეს ვითომდა სოციალისტები და მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველები. ისინი ყველა თავიათი მოწოდებებით მუშების და გლეხების ბედნიერებაზედ ლაპარაკობენ. ლაპარაკით კადეტებიც ხომ ლაპარაკობენ მუშების ბედნიერებაზე, მაგრამ ჩვენ ვიცით, მარტოკა ლაპარაკით თავის დღეში არაფერი გაკეთებულა. საქმე ის არის, პროგრამა და ქადაგება სისრულეში უნდა მოიყვანო, როცა ძალა უფლება შენს ხელშია. აასრულეს ეს მენშევიკ-ესერებმა?

მე ვიტყვი და თქვენც დამეთანხმებით: რა. მთელი ის ძალა უფლება, რომლისთვისაც ყველა პარტიები იბრძვიან, რვა თვე მენშევიკ-ესერების ხელში იყო. რა მისცეს მუშებს? არაფერი. როცა მუშებმა რვა საათის დაკანონება მოითხოვეს, უთხრეს: მოიცადეთ დამფუძნებელ კრებამდის, თვარა ბურჟუაზია ჩამოგვშორდებაო. გლეხებმა მოითხოვეს მიწა და ზოგ ალაგას ძალათ აიღეს კიდეც. მენშევიკ-ესერების მთავრობამ დამსჯელი ექსპედიცია გაუგზავნა და გლეხთა კომიტეტები ციხეში ჩააბრძანა.

მთელი ქვეყნის დემოკრატია რუსეთის რევოლიუციონერ მთავრობისაგან ომის დასასრულს მოელოდა. მერე რა გააკეთეს მათ ამ მხრით? მენშ.-ესერების და კერენსკის მეთაურობით ახალი ომი ბურჟუა იმპერიალისტების გასაძლიერებლათ და სადღეგრძელოთ, იუნისის შეტევა ესერებ-კერენსკის და მენშევიკების კურთხევით. მაგათივე წყალობით მუშების იარაღის ჩამორთმევა, მუშების და გლეხების ნამდვილ ინტერესების დამცველებით ციხეები აავსეს, მაშასადამე ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაგათ ხელში ძალა უფლებას ჩვენთვის, მუშებისთვის და გლეხებისთვის ზარალისა და შევიწროებს მეტი არაფერი მოაქვს. მაშ მაგათ ვერც მხარს დავუჭერთ.

ბევრი თქვენგანი გაიძახის ბოლშევიკურმა მთავრობამ რაღა მოგვცაო: ცარიელი დეკრეტებიო. თუ თქვენ თვალხილულათ და ჭკუა მახვილათ შეხედავთ და არა ფანატიკურათ, ბევრი რამ მოგვცა ბოლშევიკების მთავრობამ.

ჯერ ერთი ვთქვათ მიწის შესახებ დეკრეტზე. ცარიელი დეკრეტია ის? არა, ამხანაგებო, სწორეთ საქმიანია. დეკრეტი ეუბნება უმიწაწყლო გლეხებს,—მიწები თქვენია, უნდა ჩამოართვათ მემამულეებს უსასყიდლოთ. გლეხებიც, რასაკვირველია, ანხორციელებენ ამ დიდი ხნის მათ სურვილებს და წყურვილებს. ამის წინააღმდეგია მემამულეები და მათში იმართება ბრძოლა და დღევანდელი სახალხო კომისარები ემხრობიან გლეხებს და არა მემამულეებს, როგორც ამას მენშევიკ-ესერების მთავრობა შვრებოდა, გლეხებს ატუსაღებდა თქვენ ანარხისტები ხართო. ახლანდელი ხალხის მთავრობა კი ესარჩლება გლეხებს და ატუსაღებს მემამულეებს და არა გლეხებს. მაშასადამე ეს ცარიელი დეკრეტი არ არის. დეკრეტი ზავოდ-ფაბრიკების კონტროლის შესახებ უკვე სისრულეში მოყავთ და ეს კონტროლი არის მიმართული ბურჟუების წინააღმდეგ მუშების სასარგებლოთ. მაშ არც ეს არის ცარიელი სიტყვები. დეკრეტი ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ უკვე განახორციელეს მშრომელი ხალხის სასარგებლოთ და ბანკირების სავალალოთ. ისინი ციხეებში ჩააბრძანეს და არა მშრომელი ხალხი, როგორც ამას წინათ მთავრობები შვრებოდენ, მაშ ესეც ხორც შესხმულია და არა ცარიელი სიტყვები, როგორც ზოგიერთებს გონიათ. რვა საათის სამუშაო დღე უკვე დააკანონეს, ამისთვის დამფუძნებელ კრებისთვის არ უცდიათ, როგორც ამას მენშევიკ-ესერები ცდილობდნენ.

ჯარში უკვე დემოკრატიული პირობები განახორციელეს. იქ არ არის გენერალი, პოლკოვნიკი, მათი ბრწყინვალება და მათი კეთილშობილება, არამედ ყველა კეთილშობილი მოქალაქეა. მოსპეს ის ზიზილ-პიპილეები, რომელიც უფროსობდა ისედაც დაბეჩავებულ ხალხს. ყველა თანასწორია, ყველა ადამიანია.

რაც შეეხება ზავის საკითხს, ჩვენ ვიცით რომ დროებითი ზავი უკვე შეკრულია და მოლაპარაკებაა გამართული სამუდამო და საყოველთაო დემოკრატიულ ზავის შესაკვრელათ. მაშ არც ეს არის ცარიელი სიტყვები, არამედ ნახევრათ განხორციელებულია. ამას გარდა კიდევ ბევრი რამ გააკეთა სახალხო კომისარებმა, მაგრამ დანარჩენს თავი დავანებოთ და მარტოკა ამაზე ვთქვათ, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ. ეს ყველაფერი ჩაგრული და მშრომელი ხალხის სასარგებლოთაა თუ არა?

რომელი ჭკუაში მყოფი კაცი იტყვის, რომ ყველა ეს მუშათა და მშრომელთა კლასის სასარგებლო არ არის? ამის უარის ყოფას თითონ მდიდრებიც კი ვერ გაბედავენ. როგორც ვხედავთ, ყველაფერი სახალხო კომისარიატის მოქმედება არის მიმართული მშრომელ ხალხის საბედნიეროთ და საკეთილდღეოთ.

მაშ ვის ხელში სჯობს ჩვენთვის,— მუშებისათვის, გლეხებისათვის და ჯარისთვის, საზოგადოთ მშრომელი ხალხისთვის, რომ იყოს ძალა უფლება? პასუხი ერთია, აშკარაა დღევანდელ სახალხო კომისარების, ე. ი. უმთავრესათ ბალშევიკების ხელში.

კარგათ დაფიქრდით და დააკვირდით ქართველო მუშებო და გლეხებო, ვინც თქვენ თავს მუშათ და გლეხათ—საზოგადოთ მშრომელ ხალხათ სთვლით. სხვა პარტიაში ალაგი არა გაქვთ. ერთათ ერთი პარტია ეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ბალშევიკებისა, რომელიც იცავს ყველა ჩაგრულ ხალხის ინტერესებს და დღეს თუ ხვალ უსათუოთ ამ პარტიის დროშის ქვეშ უნდა დადგეთ და არა ნაციონალურ პარტიების დროშის ქვეშ, სადაც გადაბარგდა მენშევიკებიც.

და რაც უფრო ჩქარა შეიგნებთ თქვენ ინტერესებს და დადგებით ინტერნაციონალურ სისხლში ამოვლებულ წითელ დროშის ქვეშ, მით უფრო ჩქარა შეასრულებთ თქვენს პირდაპირ, ზნეობრივ, კანონიერ და მუშურ მოვალეობას და უფლებებს.

**ვ. ჩხეიძე.**

# პარტიული ცხოვრება.

28 დეკემბერს მოხდა 1 რაიონის ბალშევიკურ იაჩეიკების წარმომადგენლების კრება დიდუბეში, რკინის გზის შკოლაში. დაესწრო 19 კაცი, გაარჩიეს რამდენიმე კითხვა. სხვათა შორის კითხვა იყო დამული წითელი გვარდიის შესახებ. დიდი კამათი გამოიწვია მენშევიკების დადგენილებამ, როგორც კერძოთ გადმოგვცეს, მენშევიკებს შეუდგენიათ ახალი შტაბი, სადაც მათგანი შედის ცხრა კაცი და ორი ალაგი დაუტოვებიათ ჩვენთვის, ბალშევიკებისათვის. აი ეს როგორ გამოირკვა: ხმა გავრცელდა, რომ მენშევიკები თოფებს უცვლიან იმათ, ვისაც ბერდანკები და სხვა სისტემის თოფები აქვთ დარიგებული ვინტოვკებზედ. ჩვენებსაც უცდიათ ბედი, მისულან თოფის გამოსაცვლელათ, მაგრამ მენშევიკებს უპასუხნიათ,—თქვენ ათეული არა გყავთ და არ გამოგიცვლითო. მაშინ ბალშევიკები გამოსაცვლელათ შეიკრიბნენ ათეული და წავიდნენ თოფების გამოსაცვლელათ. როცა დაგვინახეს, დაიბნენ, ვერც უარი მოახერხეს და თოფების მოცემაც ვერ გაბედეს, რადგან ალბათ ნაბრძანები არ ქონდათ.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ სეკრეტარმა ბრძანა.—მე დაღლილი ვარ და ახლა არ შეიძლია ჩაგწეროთო. როცა ამით ვერ მოგვიშორეს, მერმე ერთმა შტაბის წევრმა გვითხრა: თქვენ ჩვენ კომისიაში არ შემოდიხართ. ჩვენ დირექტივებს არ ემორჩილებით და თოფებსაც ვერ მიიღებთო.

მაშინ ერთმა ბალშევიკმა მიმართა დანარჩენ ამხანაგებს და უთხრა: მენშევიკები მუშებს ბალშევიკების წინააღმდეგ აიარაღებენ და თქვენ გინდათ მაგათ თქვენ თოფები მოგცეთო. ეგ იწყინეს და როგორც ჩვევიათ მენშევიკებს, რომ თითონ საქმით ჩადიან და როცა ამხელ იმათ მოქმედებას, იტყვიან ეგ პროვოკაციაა; ამასაც პროვოკაცია დაუძახეს და მაშინ გამოაჩინეს რაღაც ქაღალდი და თქვეს: აი თუ თქვენთვის ალაგი არ გვაქვს, აქ ორი ალაგია თქვენთვის გაშვებულიო. ამ გადაწყვეტილების არსებობა ბალშევიკურმა ფრაქციამ ოფიციალურათ არ იცოდა და დღესაც არ იცის. კერძოთ იქნება ვინმე ბალშევიკმა იცოდა იმის არსებობა, მაგრამ კერძო კაცის ცოდნა ფრაქციას არაფერს ავალებს, როცა ჩვენ მივმართეთ, რომ მაგ თქვენი დადგენილების ჩვენ არაფერი ვიცოდით, თორემ მსჯელობას მაინც ვიქონიებდითთქო, ოფიციალურ თ ამის შემდეგ მოგმართავთო; თუმცაღა ეს კერძო ლაპარაკი იყო, მაგრამ ჩვენ ზემოდ მოხსენებულ კრებაზე მსჯელობა მაინც ვიქონიეთ და გადავწყვიტეთ ვიქონიეთ მაინც მხედველობაში, შტაბში ორი ალაგის დათმობა— ისინი არაფერს არ მოგვცემენ, რადგანაც ჩვენ ბალშევიკები კავკასიის კომისარიატის დაცვას არ ვკისრებთ და მათ დირექტივებს და ბრძანებებს არ დავემორჩილებით, მაშასადამე იმისოვის თოფებსაც ვერ მივიღებთ.

გადავწყვიტეთ მათ შტაბში არავითარი მონაწილეობა არ მივიღოთ, არამედ შევადგინოთ ჩვენი შტაბი და ჩვენი წითელი რევოლიუციონური გვარდია და ნაციონალური, როგორც ეს მენშევიკებს აქვთ.

მეორე კითხვა იყო ჩვენი პრესის— „ბრძოლა“, „კავ. რაბოჩი“ და „ბანვორი კრივის“—შესახებ.

რადგანაც ყველაფერი უკიდურესათ გაძვირდა და გაზეთს თავის შემოსავალით არსებობა არ შეუძლია და მასთან ჩვენ მდიდრები არაფერს დაგვეხმარებიან და რომ დაგვეხმარონ კიდეცა ჩვენ იმათი მაინც არაფერი გვინდა, გადაწყდა, რომ ჩვენ თითონ ჩვენში გამოვნახოთ საშვალებები. აირჩიეს კომისია, ხუთი კაცისაგან შემდგარი, რომელიც იზრუნებს პრესის ფონდის გაძლიერებაზე. გამართავენ ფასიან ლექციებს, წარმოდგენებს და სხვა.

აგრეთვე გადაწყდა რათაც უნდა დაჯდეს უნდა იარსებოს სამივე გაზეთმა.

**ანგარა.**

# მუშათა ცხოვრება.

23 დეკემბერს დეპოში დაარიგეს ჯამაგირი მაგრამ ამნაირათ ჯამაგირის დარიგება მუშების მასხარათ აგდება და სხვა არაფერი, ჯერ ჯამაგირი მოგვცეს რაც გვერგებოდა იმის ნახევარი. სამწუხაროთ ეს იყო მუშებს და ამბობდნენ: „რა უყო, ნახევარი ჯამაგირით რა გავაკეთო, რა ვიყიდო ამ სიძვირეშიო.“ მაგრამ რკინის გზის ადმინისტრაციამ ვაიზე უი დაუმატა: მოიტანეს ორმოცდაათ და ას თუმნიანი და ოთხ ხუთ კაცს ერთად აძლევდნენ ჯამაგირს. ეუბნებოდნენ ხურდა ფული არ გვაქვსო კარგი, რა იფიქრეს, თუ იმათ ვერ იშოვნეს ხურდა ფული, ვის ხელშიაც არის ბანკები, კასები, მთელი ქალაქი და მთელი ძალა-უფლება, იმათ თუ ვერ იშოვნეს წვრილი ფული და ვერ დაახურდავეს, ამ მუშებს საიდან უნდა ეშოვნათ? ეს, ვიმეორებ მუშების აბუჩათ აგდებაა; რაც გინდათ ქენით თავი ქვას აჰკალეთო. მიიდო მუშები ქალაქს. ორმოცდაათ თუმნიანებით ოთხი-ხუთ კაცი ერთად დადიოდა ფულის დასახურდავებლათ. სპეკულიანტებმაც ხელათ აიღეს ალლო. ეს კარგია, აქაც შეიძლება მუშებს რამე გამოვცინცლოთო. და გახდა 23 დეკემბერს ახალ მოდის ვაჭრობა. ვისაც არ უნდოდა ბოთლ ღვინოში ოთხი-ხუთი მანეთი მიეცა, დღეს აძლევდა, ისე 50 თუმნიანს არავინ არ ახურდავებდა, მაგრამ კი არ იფიქროთ, რომ ერთი ბოთლის ყიდვით გადარჩებოდი და ხურდას მიიღებდი, არა უკაცრავათ ოთხი ხუთი ბოთლი მაინც უნდა გეყიდა და მაშინ დიდი მუნათით იქნება ეღირსებია ხურდის მოცემა. მაგრამ იყვნენ ისეთებიც რომლებიც ღვინოს არ ყიდულობდნენ, იმათაც ისე ართმევდნენ 50 თუმანს დასახურდავებლათ 10 მანეთიდან 20 მანეთამდის. ისე აუმჯობესებენ მუშების ისედაც აუტანელ პირობებს ჩვენი ახლათ გამომცხვარი ადმინისტრატორები. იმის მაგივრათ რომ მუშებს ოჯახში მიეტანა ფული და ამ ფულით მეორე დღისთვის მუშის ოჯახის სახლისთვის რაიმე სურსათი მოემზადებინა ბავშვებისთვის, ისინი სარდაფ-სარდაფ დადიოდნენ ორმოცდაათ თუმნიან და ასთუმნიანის დასახურდავებლათ და ძალა უნებურად შეექცევოდნენ მოწამლულ-მოზავებულ ღვინოს ახლა ამ დიდებულ რევოლიუციის დროს, რომ ასე იტკივებენ თავს მუშების მდგომარეობის „გასაუმჯობესებლათ“ წარმოიდგინოთ, რა იყო და როგორი ფიქრობდნენ და შესტკიოდათ გული მუშებისთვის ამ ცხრა თვის წინათ ჯოჯოხეთურ მონარხიის ბატონობის დროს, ამის შემდეგ გამოდიან გორკები და ამბობენ: „მუშები ჯერ მოუმზადებელი და შეუგნებელი არიან, სახელმწიფოს ვერ უხელმძღვანელებენო, აი კადეტები დიდებული ხალხია, დიდად მომზადებული და განვითარებული არიან და სახელმწიფოს მართვა გამგეობაც მათ ხელში უნდა იყოსო.“ რასაკვირველია. მუშები განვითარებული და მომზადებული არ იქნებიან 16—20 საათს. დღე და ღამე ამუშავებდენ და ამუშავებენ, მერმე სარდაფებში ერეკებოდენ და ერეკებიან, მდიდრები და კადეტები კი თავიანთ შვილებს გიმნაზიებში და უნივერსიტეტებში ზრდიდნენ (და ახლაც ასე უნდათ თითონ გიმნაზია უნივერსიტეტი, მუშებს კი ფაბრიკა ზავოდები და ღვინის სარდაფები). რასაკვირველია გორკები მართლები არიან, როცა ამბობენ: „მუშები გაუნათებელია და კადეტები განათლებულიო.“ მაგრამ იქ კი სცდება გორკი, სადაც ამბობს რომ მუშები თავის თავს ვერ მოუვლის და კადეტებმა უნდა უპატრონოსო. თავს ნუ იწუხებენ მუშებას გულისთვის, ისინი მოუვლიან თავის თავს. მართალია მუშებმა ცხრა ენა არ იციან მილიუკოვებივით, მაგრამ ის ძალიან კარგად იციან რა უნდათ მათ და მათ ოჯახებს.

**ანგარა.**

## წერილი ხონიდან.

ჩვენი პატარა ქალაქი ხონი მენშევიკების აულებელ ციხეთ ითვლებოდა ამ რამოდენიმე თვის წინეთ ის მათი პატარა სამთავრო იყო, და ისინიც რასაკვირველია ამით საკმაოთ სარგებლობდენ, და როგორც შეშვენის გაბატონებულთ, ისე მოავრობდენ თავისი სამფლობელოში. ისინი ყველაფერა წარმოიდგენდნენ, მაგრამ არა იმას, რომ მათ პატარა, მაგრამ „მაგარ“ ციხეს გატეხდენ. და მერე ვინ? „ვიღაც“ ბოლშევიკები?!

მაგრამ!... გატყდა ხონის ციხე და ეს მოიმოქმედა არა სხვა ვინმემ, არა ფედერალისტებმა, ნაციონალ-დემოკრატებმა,- არამედ ამ „ვიღაც“ ბოლშევიკებმა. ჯერ იყო და ეს ციხე შეიმტვრა იმ მხრიდან, რომელ-მხრიდანაც ისინი სულაც არ მოელოდენ. ხონის შეერთებულ ორგანიზაციამ (რ. ს. დ. მ. პ), რომელის ბატონ-პატრონი მენშევიკები იყვნენ. არჩევნების შემდეგ თავისი წევრთა უმრავლესობით მენშევიკებს ზურგი უჩვენა. გაბრაზებული ყოფილი პარტიის ბატონები ვითომცდა იერიშითაც წამოვიდნენ „უზურპატორ“ ბოლშევიკების წინააღმდეგ და იგემეს რა ერთხელ ორხელ სასტიკი საჯარო დამარცხება, „ურას“ ძახილით უკან დაწევა იწყეს და ბოლოს ეს უკან დახევა მათი ორგანიზაციიდან სრული გაქცევით დამთავრდა. ასე რომ, ყოფილი ოდესმე შეერთებული ორგანიზაცია დღეს თავის თავს ბალშევიკურს უწოდებს.

პარტიაში დამარცხებას თან მოყვა მათი ხალხშიაც დამარცხება. დამფუძნებელი კრების არჩევნებში „ძლევა-მოსილმა“ მენშევიკთა პარტიამ ქალაქ ხონში მიიღო იმდენივე რამდენის „ვიღაც“ ბალშევიკებმა.-და თუ ეს ასე იყო ამ ორი თვის წინათ, დღეს შეგვიძლია პირდაპიო ვთქვათ, რომ ქ. ხონის და ახლო-მახლო მდებარე სოფლების დიდი უმრავლესობა უკვე ჩამოცილდა მენშევიკებს და წამოვიდა ჩვენკენ.

(დასასრული იქნება)

## ჩვენი კორესპონდენტ-თანამშრომლების საყურადღებოთ.

ჩვენ განმეორებით ვსთხოვთ ჩვენ კორესპონდენტებს შეასრულონ შემდეგი პირობები: ყველა კუთხეში უნდა იყოლიონ პასუხის მგებელი კორესპონდენტი, რომელს ს ვალდებულია ფაქტიური ხასიათის ცნობები შეამოწმოს ადგილობრივ ორგანიზაციაში, ბიუროში. კორესპონდენცია და წერილიბი დაწერილი უნდა იყოს აუცილებლათ მელნით და მხოლოთ ერთ გვერდზე.

# საზღვარ-გარეთ.

### ზავის სასარგებლოთ.

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან, რომ ციმერვალდელთა კომისიამ მოწოდებით მიმართა მეომარ სახელმწიფოების მშრომელ მასას, ისარგებლოს საზავო მოლაპარაკების ვადით რუსეთის მთავრობისგან ხუთი დღის კიდევ გადადებით და თავის მთავრობას ძალა დაატანოს, რათა მან საყოველთაო დემოკრატიულ ზავზე მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღოს.

## ბრძოლის ფონდი

მივიღეთ ბრძოლის ფონდისთვის ოლიფანტი ბუბუტეიშვილისაგან ხუთი მან.

# კრებები და მიტინგები.

### დურგლების კრება.

კვირას, 14 იანვარს, დილის 10 საათზე მესამე სავაჟო გიმნაზიაში (ველიამინოვის ქუჩა № 11) დანიშნულია თბილისის დურგალთა (საამშენებლო) პროფესიონალური კავშირის წევრთა **საზოგადო კრება.**

დღის წესრიგი:

1. სარევიზიო კომისიის მოხსენება შემოსავალ-გასავალზე და კავშირის საქმის მსვლელობაზე.
2. ახალი გამგეობის და კამერის არჩევა.
3. მუშათა საბჭოს დეპუტატების არჩევა.
4. პურის ბარათების კრებაზე დარიგება.

# განცხადება.

რ. ს.-დ მ. პ. უმრავლესეთა (ბალშევიკების) ოზურგეთის კომიტეტი აცხადებს თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიაში ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე: 1) ქალაქის აფთიაქის გამგე ფილიპე ცხომელიძესთან და 2) მარო ლომინაძესთან დღის 3 საათიდგან საღამოს 6 საათამდე ჯაბა მაჭუტაძიშვილის სახლში, თეატრის გვერდით.